

„მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს, დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი

თავი I

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

თანხა ათას ლარებში

დასახელება	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	25986.7	35544.0	25074.8	10469.2	28636.200	28386.2	250.0
გადასახადები	9965.0	17129.8	17129.8	0.0	20537.200	20537.2	0.0
გრანტები	9322.4	10469.2	0.0	10469.2	250.000	0.0	250.0
სხვა შემოსავლები	6699.2	7945.0	7945.0	0.0	7849.000	7849.0	0.0
ხარჯები	15363.6	20248.8	18203.0	2045.8	19689.9	19443.5	246.4
შრომის ანაზღაურება	3389.9	3765.5	3600.5	165.0	4117.8	3946.2	171.6
საქონელი და მომსახურება	2957.3	3840.2	3244.4	595.8	3278.0	3271.4	6.6
პროცენტი	102.1	53.2	53.2	0.0	40.3	40.3	0.0
სუბსიდიები	7455.7	9330.6	9250.6	80.0	10090.7	10027.5	63.2
გრანტები	45.0	45.0	45.0	0.0	45.0	45.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1162.5	1319.2	1314.2	5.0	1654.0	1649.0	5.0

სხვა ხარჯები	251.1	1895.1	695.1	1200.0	464.2	464.2	0.0
საოპერაციო სალდო	10623.1	15295.2	6871.7	8423.5	8946.3	8942.7	3.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5144.8	23307.2	13350.2	9957.0	8796.2	8792.6	3.6
ზრდა	5937.2	23707.2	13750.2	9957.0	9016.2	9012.6	3.6
კლება	792.5	400.0	400.0	0.0	220.0	220.0	0.0
მთლიანი სალდო	5478.4	-8012.0	-6478.4	-1533.5	150.1	150.1	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	5294.3	-8203.1	-6669.6	-1533.5	0.0	0.0	0.0
ზრდა	5294.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	5294.3	0.0	0.0	0.0	0.0		0.0
კლება	0.0	8203.1	6669.6	1533.5	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	8203.1	6669.6	1533.5	0.0		
ვალდებულებების ცვლილება	-184.0	-191.2	-191.2	0.0	-150.1	-150.1	0.0
კლება	184.0	191.2	191.2	0.0	150.1	150.1	0.0
საშინაო	184.0	191.2	191.2	0.0	150.1	150.1	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

თანხა ათას ლარებში

დასახელება	2018 ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	26779.1	35944.0	25474.8	10469.2	28856.2	28606.2	250.0
შემოსავლები	25986.7	35544.0	25074.8	10469.2	28636.2	28386.2	250.0

დასახელება	2018 ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
არაფინანსური აქტივების კლება	792.4	400.0	400.0	0.0	220.0	220.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	21484,8	44147.2	32144.4	12002.7	28856.2	28606.2	250.0
ხარჯები	15363.6	20248.8	18203.0	2045.8	19689.9	19443.5	246.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	5937.2	23707.2	13750.2	9957.0	9016.2	9012.6	3.6
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	184.0	191.2	191.2	0.0	150.1	150.1	0.0
ნაშთის ცვლილება	5294.3	-8203.1	-6669.6	-1533.5	0.0	0.0	0.0

თავი II

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **28636.2** ათასი ლარის ოდენობით:

თანხა ათას ლარებში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	25986.7	35544.0	25074.8	10469.2	28636.2	28386.2	250.0

გადასახადები	9965.0	17129.8	17129.8	0.0	20537.2	20537.2	0.0
გრანტები	9322.4	10469.2	0.0	10469.2	250.0	0.0	250.0
სხვა შემოსავლები	6699.2	7945.0	7945.0	0.0	7849.0	7849.0	0.0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 20537.2 ათასი ლარის ოდენობით.

თანხა ათას ლარებში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
გადასახადები	9965.0	17129.8	20537.2
გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზარდზე	4039.2	0.0	0.00
საშემოსავლო გადასახადი	4039.2	0.0	0.00
გადასახადები ქონებაზე	5925.8	5500.0	6000.0
გადასახადები უძრავ ქონებაზე	5925.8	5500.0	6000.0
ქონების გადასახადი	5925.8	5500.0	6000.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2509.3	2300.0	2600.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	42.0	45.0	40.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	63.3	22.0	24.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	2017.7	1928.0	2070.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	1293.5	1205.0	1266.0
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	0.0	11629.8	14537.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	0.0	11629.8	14537.2

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 250,0 ათასი ლარის ოდენობით.

თანხა ათას ლარებში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
გრანტები	9322.4	10469.2	250.0

სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	9322.4	10469.2	250.0
მიმდინარე	6253.8	2585.8	250.0
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	6253.8	2585.8	250.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	6253.8	2585.8	250.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	6003.8	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი	250.0	250.0	250.0
სპეციალური ტრანსფერი	0.0	0.0	0.0
სხვა	0.0	2335.8	0.0
კაპიტალური	3068.6	7883.5	0.0
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	3068.6	7883.5	0.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	3068.6	7883.5	0.0
სპეციალური ტრანსფერი	0.0	1232.0	0.0
კაპიტალური ტრანსფერი	3068.6	5451.5	0.0
სხვა	0.0	1200.0	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 7849.0 ათასი ლარის ოდენობით.

თანხა ათას ლარებში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
სხვა შემოსავალი	6699.2	7945.0	7849.0
შემოსავალი საკუთრებიდან	1275.9	1411.0	1246.0
პროცენტი	517.6	598.0	550.0
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	517.6	598.0	550.0
რენტა	758.4	813.0	696.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	619.1	643.0	525.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	139.3	170.0	171.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	2520.5	2673.5	2872.0

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	2516.1	2668.5	2867.0
სანებართვო მოსაკრებლები	85.8	152.5	250.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	13.8	8.0	8.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	2224.5	2308.0	2408.0
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	192.0	200.0	201.0
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	4.4	5.0	5.0
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	4.4	5.0	5.0
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	4.4	5.0	5.0
სანქციები , ჯარიმები და საურავები	2852.3	3730.5	3731.0
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	50.6	130.0	0.0

თავი III

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი

ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები **19689.9**ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

თანხა ათას ლარებში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	15363.6	20248.8	18203.0	2045.8	19689.9	19443.5	246.4
შრომის ანაზღაურება	3389.9	3765.5	3600.5	165.0	4117.8	3946.2	171.6
საქონელი და მომსახურება	2957.3	3840.2	3244.4	595.8	3278.0	3271.4	6.6
პროცენტი	102.1	53.2	53.2	0.0	40.3	40.3	0.0

სუბსიდიები	7455.7	9330.6	9250.6	80.0	10090.7	10027.5	63.2
გრანტები	45.0	45.0	45.0	0.0	45.0	45.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1165.5	1319.2	1314.2	5.0	1654.0	1649.0	5.0
სხვა ხარჯები	248.1	1895.1	695.1	1200.0	464.2	464.2	0.0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **8796,2** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **9016.2** ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2018	2019	2020
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	133.4	1022.0	15.0
0101	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	133.4	1022.0	15.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	5006.4	18442.9	6883.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2998.8	7689.3	3850.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1588.1	7541.8	2095.1
02 03	გარე განათება	136.1	563.1	0.0
0204	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	0.0	0.0	500.0
02 07	კეთილმოწყობა	207.0	1377.7	438.4
02 08	სარიტუალო ღონისძიებები	76.3	34.9	0.0
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	0.0	1236.0	0.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2.0	173.0	503.0
0301	დასუფთავება, ნარჩენების მართვა და სხვა გარემოს დაცვითი საქმიანობა	2.0	3.0	3.0
0302	კაპიტალური დაბანდები დასუფთავების სფეროში	0.0	170.0	500.0
04 00	განათლება	433.6	2338.1	383.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	6.0	20.0	10.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	427.6	374.4	320.5
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0.0	1943.7	52.5
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	358.9	1731.2	1228.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	330.0	1503.2	442.6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	29.0	227.9	785.4

06 00	სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები	2.9	0.0	3.6
სულ ჯამი		5937.2	23707.2	9016.2

ბ) განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება **220.0** ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	219.0	915.0	220.0
ძირითადი აქტივები	37.8	415.0	100.0
არაწარმოებული აქტივები	181.2	500.0	120.0
მიწა	181.2	500.0	120.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც-კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
701	I.საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5243.2	7135.8	6172.4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4957.1	6888.4	5979.1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4957.1	6500.2	5829.1
	წარმომადგენლობითი ორგანო	1089.8	1228.4	1320.5
	აღმასრულებელი ორგანო	3867.2	5271.8	4508.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	388.2	150.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	286.17	247.36	193.35
702	II. თავდაცვა	203.0	261.4	224.8
7021	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	203.0	261.4	224.8
704	IV. ეკონომიკური საქმიანობა	4292.1	12786.5	5350.0

70421	სოფლის მეურნეობა	306.8	2764.2	0.0
7045	ტრანსპორტი	3979.9	8706.3	5350.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3979.9	8706.3	5350.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	5.5	1316.0	0.0
705	V. გარემოს დაცვა	1387.5	2636.9	2665.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1370.3	2272.4	2252.3
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	17.1	364.5	412.6
706	VI. საბინაო კომუნალური მეურნეობა	4175.0	8778.2	4637.6
7061	ბინათმშენებლობა	0.5	377.3	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	206.5	1345.7	438.4
7063	წყალმომარაგება	2821.0	5827.2	3012.5
7064	გარე განათება	1070.7	1193.1	1136.7
7066	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	76.3	34.9	50.0
707	VII. ჯანმრთელობის დაცვა	161.0	242.0	242.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	161.0	242.0	242.0
708	VIII. დასვენება, კულტურა და რელიგია	2266.9	4171.6	4519.3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1342.8	2751.7	1827.6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	480.2	925.8	2020.7
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	71.7	86.0	86.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	372.2	408.0	410.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	0.0	175.0
709	IX. განათლება	2605.2	5622.0	3445.0
7091	სკოლამდელი განათლება	2531.9	3090.5	3320.5
7092	ზოგადი განათლება	73.4	2531.5	124.5
710	X. სოციალური დაცვა	1102.7	2425.9	1600.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	743.1	913.3	1095.0

7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	354.7	1506.7	500.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	5.0	5.0	5.0
	სულ	21484.8	44147.2	28856.2

თავი IV

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა

და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

დასახელება	2018 წელი (ფაქტი)	2019 წელი (გეგმა)	2020 წელი (გეგმა)
საოპერაციო სალდო	10623.1	15295.2	8946.3
მთლიანი სალდო	5478.4	-8012.0	150.1

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 8220702,83 ლარს, აქედან ეროვნულ ხაზინაში დაბრუნებული იქნა 17554,47 ლარი, მათ შორის 7622,47 ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, 9932,00 ლარი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14,03, №420 განკარგულების ნაშთი(სოფ.იშირის სასმელის წყლის და სატუმბო სადგურის მშენებლობის სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომია). დარჩენილი 8203148,36 ლარიდან 6669624,48 ლარი არის ადგილობრივი სახსრების ნაშთი, ხოლო 1 533 523,88 ლარი ტრანსფერის ნაშთი, მათ შორის: 100 129,00 ლარი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სასწრაფოს შენობის მშენებლობა), 30 991.41 ლარი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფლის პროექტები), 7060 ლარი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფ.შაუმიანის ხიდის მშენებლობა), 1 395 343 ლარი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფ.სადახლოს, აღმამედლოს, კირაჩ-მუდანლოს სასმელი წყალი, მდ.დებედას ნაპირსამაგრი და ძეგლი „კიდევაც დაიზრდებიან“ პროექტების ნაშთი).

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

დასახელება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ვალდებულებების ცვლილება	-184.0	-191.2	-150.1
კლება	184.0	191.2	150.1

საშინაო	184.0	191.2	150.1
საგარეო	0.0	0.0	0.0

2020 წლის პირველი იანვრისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენს 629,422.0 ლარს 31 დეკემბრისათვის იგეგმება ვალის შემცირება 190,345.0 ლარის ოდენობით.

თავი II

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2020-2023 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 -2023 წლების პრიორიტეტები და პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები შემდეგი რედაქციით:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2020 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (კოდი 02 01)

პროგრამის მიზანი: საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდა კვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

ა.ა) გზების მიმდინარე მოვლა შენახვა (კოდი 02 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების ხარისხიანი შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია განხორციელდეს გზის დაზიანებული საფარის ორმოული შეკეთება, ასევე წლის განმავლობაში

დაზიანების შემთხვევაში ოპერატიულად განხორციელდეს გზის სავალი ნაწილის მონიშვნა ნიშანსაღები საღებავით, მიწის ვაკისის მოშანდაკება ავტოგრეიდერით, ბზარების ამოვსება ა/ბ ნარევიტ, მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებლობიდან გამომდინარე სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების და საგზაო ნიშნების მოწყობა.

ა.ბ.) გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია (კოდი 02 01 02)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია, 2020 წლისთვის იგეგმება დაახლოებით 87900 კვ.მ გზის მშენებლობა რეაბილიტაცია. ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მომავალი წლებში რეაბილიტაციისთვის საჭირო პროექტების შესყიდვა და რეაბილიტირებული პროექტების ზედამხედველობა.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად სულ 89,812 ათასი ლარი, მათ შორის:

- სოფელ დაშტაფის შიდა გზების მოასფალტება - 37.075 ლარი;
- სოფელ გაჯისაქენდის მისასვლელი გზის მოასფალტება - 25.073 ლარი;
- ხულდარას მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 27.664 ლარი.

ბ) წყლის სისტემების განვითარება (კოდი 02 02)

პროგრამის მიზანი:

მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა

მუნიციპალიტეტის სოფლებში დღეის მდგომარეობით წყალი მიეწოდება 11258 აბონენტს, დარჩენილი მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება რადგან ზოგ შემთხვევაში გამოსულია მწყობრიდან და მოძველებულია წყლის სისტემები და ზოგ შემთხვევაში სისტემა საერთოდ არ არის და შესაბამისად ახალი სისტემებია დასამონტაჟებელი. მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ახალი სისტემების გაყვანა რათა მოსახლეობას ქონდეს ხარისხიანი და 24 საათიანი წყალმომარაგება. აგრეთვე დამონტაჟდეს მრიცხველები, რაც საშუალებას მოგვცემს მოსახლეობამ შეძლოს წყლის ღირებულების გადახდა და აკუმულირებული სახსრებით წყლის სისტემის მდგრადი ფუნქციონირება. ასევე მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები და კანალიზაციის სისტემა რადგან დღეის მდგომარეობით იგი ვერ უზრუნველყოფს ხანგრძლივი და მოამტებული ნალექის შემთხვევაში მის გატარებას.

ბ.ა) სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია(კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი 100%-ის წილის მქონე შ.პ.ს. "მარნეულის სოფწყალის" სუბსიდირება, რომელის ახორციელებს მუნიციპალიტეტის 54 სოფლისათვის, 11258 აბონენტი, სასმელი წყლის მიწოდებას და სარწყავი წყლის სისტემით მომსახურებას. ხდება ქსელის დაზიანების შემთხვევაში სარემონტო სამუშაოები.

ბ.ბ) სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია (კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სასმელი წყლის სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია მოსახლეობის ზედპირული გრუნტის წყლის მოხვედრისაგან დაცული, მაღალი ხარისხის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტის შესაბამისად სულ 157.534 ათასი ლარი, მათ შორის:

- ქუთლიარის, ალგეთის, კაპანახჩისა და ყულარის ადმინისტრაციული ერთეულებში შემავალი სოფლების წყალმომარაგება - 157.534 ლარი.

ბ.გ) საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის განვითარება და მოვლა შენახვა (კოდი 02 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მრავალსართულიანი კორპუსების გარე საკანალიზაციო ქსელის მოვლა შენახვაში მოსახლეობის ხელშეწყობა და სოფ. თამარისში საკანალიზაციო სისტემის ბიოგაწმენდა, სოფ. ქუთლიარი და საიმერლოში სანიაღვრე სისტემის მოწყობა, ქ. მარნეულის ფიროსმანის ქუჩა, კობულეთის და რუსთაველის ქუჩის სანიაღვრე სისტემების მოწყობა და აღნიშნულ პროექტებზე ზედამხედველობის განხორციელება.

ბ.დ) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია (კოდი 02 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სარწყავი წყლის სისტემის მოვლა შენახვა, რეაბილიტაცია და საჭიროების მიხედვით ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება.

გ) გარე განათება (კოდი (0203)

მიზანი: გარე განათების ქსელის გაფართოება და გამართული ფუნქციონირება;

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი მოიცავს 11654 ბოძს, ამდენივე სანათს. არსებული მდგომარეობით მუნიციპალიტეტში გარე განათების სერვისი მიეწოდება მოსახლეობის დაახლოებით 75 პროცენტს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: გარე განათების წერტილების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლოატაცია და მოხმარებული ელ. ენერჯის საფასურის დაფარვა; დასახლებული პუნქტების განათების სამუშაოები და ელ. ენერჯის ქსელში ჩართვა.

გ.ა) გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (კოდი 020301)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: გარე განათების წერტილების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლოატაცია.

გ.ბ) გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი (კოდი 020302)

ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის ფუნქციონირებისათვის საჭირო ელექტროენერჯის ღირებულების გადახდას.

გ.გ) გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა (კოდი 020303)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება გარე განათების სისტემაში ახალი წერტილების დამატება, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეტაპობრივად შემცირდეს იმ დასახლებული პუნქტების რაოდენობა, რომლებიც არ არის ჩართული გარე განათების ქსელში.

დ) მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება (კოდი 0204)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება და არსებული ავტოპარკის განახლება

დ.ა) მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება (კოდი 020401)

არსებულ ეტაპზე მუნიციპალიტეტის ავტოპარკის ბალანსზე არის 21 სატრანსპორტო საშუალება (მ.შ. 17 ავტობუსი და 4 მიკროავტობუსი). ამჟამად შ.პ.ს. "მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი" 19 მარშრუტზე ემსახურება 45 სოფელს. წლის განმავლობაში გადავანილ მგზავრთა რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 1 160 000 მგზავრს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება.

დ.ბ) მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება (კოდი 020402)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის განახლება

ე) კეთილმოწყობა (კოდი 0207)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნა;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნის მიზნით. მუნიციპალიტეტის იერსახის გასაუმჯობესებლად ცენტრალურ ქუჩებზე შენობების ფასადების რეაბილიტაცია, ასევე სადღესასწაულო დღეებში ქუჩების მორთვა და მისალოცი ბანერების განთავსება.

ე.ა) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა–რეაბილიტაცია (კოდი 020701)

ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა

ე.ბ) შენობების ფასადების რეაბილიტაცია (კოდი 020702)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების ფასადების რეაბილიტაციას

ე.გ) სადღესასწაულო ღონისძიებები (კოდი 020703)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სადღესასწაულო დღეებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და ადმინისტრაციული შენობების მორთვა, გალამაზება და მისალოცი ბანერების განთავსება.

ვ) სარიტუალო ღონისძიებები (კოდი 0208)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა პატრონობას და სარიტუალო დარბაზების აღჭურვას, რეაბილიტაციას და მშენებლობას.

2. გარემოს დაცვა (ორგანიზაციული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია გარემოს დაცვა, რაც თავის თავში მოიცავს მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას, კაპიტალურ დაზანდებებს დასუფთავების სფეროში. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს სუბსიდირება.

ა) დასუფთავება და ნარჩენების მართვა (კოდი 03 01)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოცივნის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება; დღეს არსებული სიტუაციით სულ მუნიციპალიტეტში სუფთავდება 170713 კვმ ფართობი, დასუფთავების სერვისით მთელი მუნიციპალიტეტის მოცვისთვის საჭიროა დამატებითი ურნების და ნაგვის მანქანების შესყიდვა.

ა.ა) მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (კოდი 030101)

ქვეპროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დახვეტას, ნაგვის ურნებში განთავსებას და ნარჩენების გატანას. ამ მიმართულებით მუნიციპალტეტს ემსახურება 35(54 ნორმით) მეეზოვე, რომელიც ყველდღიურად ასუფთავებს 170713 კვმ ფართობს. დგას 779 ურნა. მიუხედავად აღნიშნულისა მუნიციპალიტეტში დარჩენილია ისეთი ადგილები რომელიც დღეის მდგომარეობით არ სუფთავდება რადგან არ არის შესაბამისი ტექნიკა და ნაგვის ურნები. ჩვენი მიზანია ნელ ნელა სრულად მიეწოდოს მოსახლეობას აღნიშნული სერვისი.

ა.ბ) ნარჩენების გადამამუშავება (კოდი 030102)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შ.პ.ს. „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს სუბსიდირება, ნაგავსაყრელის სრული დატვირთვით მუშაობის უზრუნველსაყოფად, რაც აუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას

ა.გ) გარემოს დაცვითი სხვა ღონისძიებები (კოდი 030103)

ქალაქში არსებული მდგომარეობით მრავლადაა ქუჩის ძაღლები და არსებული ფაქტებით მათგან დაფიქსირდა ადამიანისათვის საშიში დაავადების მატარებელი შინაურ ცხოველთა არსებობაც, აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია ქალაქში არსებული ყველა უმეტეაღყურეოდ დარჩენილი ქუჩის ძაღლის მონიტორინგი, მათი სტერილიზაციის, ასევე მათგან დაავადებული ძაღლების საჭიროების შემთხვევაში ევთანაზიის და ცხოველთა სამარხში გადაყვანის მომსახურება, ასევე ნაწილი მათგანის ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანა შესაბამისი სტანდარტების დაცვით.

ბ) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება (კოდი 0302)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის გამწვანება და გამწვანებულ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი ხეების, ყვავილების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა პატრონობა.

ხეების გადაბეღვა და შეთეთრება, ბალახის გათიბვა, რათა შენარჩუნებული იქნეს და გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი.

გ) კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში (კოდი 0303)

პროგრამის მიზანი: ახალი ნაგვის ურნების და კონტეინერების და ნაგავმზიდი მანქანების შეძენა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალი ნაგვის ურნების და კონტეინერების და ახალი ნაგავმზიდი მანქანების შეძენა.

3. განათლება (კოდი 0400)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლი მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (კოდი 0401)

პროგრამის მიზანი: სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა;

მუნიციპალიტეტში სულ 3000 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, ტერიტორიაზე განთავსებულ 14 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 2749 ბავშვის სწავლება, მათ შორის 1161 გოგო, 1373 ბიჭი. ხოლო 251 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ააიპ "საბავშვო ბაღების გაერთიანება". სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 335 თანამშრომელი, მათ შორის 68 არმზრდელი და 68 თანამშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

ბ) სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (კოდი 0402)

პროგრამის მიზანი: სკოლამდელი ასაკის ბავშვების სააღმზრდელო ადგილებით უზრუნველყოფა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია აღსაზრდელებისა და მომსახურე პერსონალისათვის კეთილსაიმედო გარემოს შესაქმნელად.

გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა (კოდი 0403)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვა; საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოციალური დახმარება მარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებისათვის, რომლებიც არ ცხოვრობენ მარნეულის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თითოეულზე 50 ლარის ოდენობით), ზაფხულის საშვებულებო პერიოდის (ივლისი, აგვისტო) გარდა, მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის ხელშეწყობის მიზნით. ასევე პროგრამით 2020 წელსაც განხორციელდება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სასწავლო დაწესებულებათა შენობების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. არსებულ ეტაპზე პროგრამა მოიცავს მხოლოდ კოდი 040301 და 040303 ქვეპროგრამის ასიგნებას.

ბ.ა) პედაგოგთა დახმარება (კოდი 040301)

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვა;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოციალური და ხმარებამარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებისათვის, რომლებიც არ ცხოვრობენ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თითოეულზე 50 ლარის ოდენობით), ზაფხულის საშვებულებო პერიოდის (ივლისი, აგვისტო) გარდა, მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის ხელშეწყობის მიზნით.

ბ.ბ) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (კოდი 040303)

ქვეპროგრამის მიზანი: სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ.

ა) სპორტის სფეროს განვითარება (კოდი 0501)

პროგრამის მიზანი: სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2020 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 1600 სპორტსმენს;

პროგრამის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების მოვლა–პატრონობა და რეაბილიტაცია;

ა.ა) სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 050101)

ქვეპროგრამის მიზანი: სპორტსკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა;

ააიპ "სპორტული სკოლა" - უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 20 სპორტის სახეობის მიმართულებით 4 სპორტულ ობიექტზე 25 მწვრთნელის მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (12 დან - 25 წლამდე) 1600 ბენეფიციარს. გახსნილია სპორტული წრეები შემდეგი მართულებით:ჭიდაობა, ჭადრაკი, ფეხბურთი, ტანვარჯიში, აღმოსავლური ორთაბრძოლა, კალათბურთი.

სკოლა გეგმავს და ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს, როგორც სამოყვარულო ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით ყველა ასაკობრივ ჯგუფში; სკოლა გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით, ასევე ხელს უწყობს მის დანერგვასა და პოპულარიზაციას; სკოლა ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს და ახორციელებს მათ სტიპენდირებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ სექციებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ. სპორტსკოლა არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა სკოლაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ქალაქის,ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება. სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა.სკოლის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.სპორტული დარბაზის მოვლა შენახვა ,სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო თანხების,სიგელების,ჯილდოების,ბანერების,ვიდეო და ბეჭდვითი რეკლამების დამზადებისა და სხვა საქმიანობის წარმოება. სპორტული ინვენტარის.სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შექმნა. მწვრთნელთა ოსტატობის ამაღლების მიზნით სპორტსმენების ეროვნული და საერთაშორისო ტრენინგ-სემინარებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.სპორტსმენების ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისათვის სამივლინებო ხარჯების უზრუნველყოფა.ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისა მოწყობის ხარჯები.

სარაკბო კლუბ-მარნეულის "არმაზის" ხელშეწყობა, რაგბის პოპულარიზაცია და სარაკბო საბავშვო სექციების განვითარება მუნიციპალიტეტის სვადასხვა ადმინასტრაციულ ერთეულებში.

ა.ბ) სპორტული ღონისძიებები (კოდი 050102)

ქვეპროგრამის მიზანი: სპორტის პროპაგანდა, ადგილობრივი სპორტსმენების ხელშეწყობა;

2020 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები, უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ტურნირებზე და შეჯიბრებებზე

ადგილობრივი სპორტსმენების მონაწილეობა, წახალისებთან წარმატებული სპორტსმენები სხვადასხვა ჯილდოთი.

ა.გ) სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (კოდი 050103)

ქვეპროგრამის მიზანი: სპორტული ობიექტების გამართული ფუნქციონირება;

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ.მარნეულში მინი კომბინირებული სტადიონების მოწყობა.

ბ) კულტურის სფეროს განვითარება (კოდი 0502)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; განათლების დონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება; კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება.

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურის სფეროს დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის სფეროს ობიექტების რეაბილიტაცია და რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება.

ბ.ა) კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა (050201)

ქვეპროგრამის მიზანი: კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა. ღვაწლმოსილ მოქალაქეთა განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.). ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მარნეულის როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი ქალაქის გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში. ქალაქში არსებული დიასპორების უშუალო ჩართულობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინირება და დახმარების გაწევა, სახელოვნებო დარგების განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია. სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების, სხვადასხვა მიმართულების შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა. ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა: სამუსიკო, ქორეოგრაფიული, ფოლკლორის, ხატვა-ფერწერა, კლასიკური მუსიკა, თეატრი, თანამედროვე ქორეოგრაფია, ფოტოხელოვნების, ვოკალურ ინსტრუმენტალური წრეების, ლიტერატურული კლუბების, ახალგაზრდა ადგილობრივი ნიჭიერი მწერლების, შემოქმედების პოპულარიზაციისთვის პირობების შექმნა, ეროვნული ტრადიციების წეს-ჩვეულებების ფიქსაცია პოპულარიზაცია. მოზარდი თაობის დემოკრატიული საზოგადოების ჭეშმარიტ მოქალაქეებად აღზრდის და ჩამოყალიბების ხელშეწყობა, კულტურული და სოციალური თვითშეგნების, ესთეტიკური განვითარების სრულყოფა.

ბ.ბ) კულტურის სფეროს ღონისძიებები (კოდი 050202)

ქვეპროგრამის მიზანი: სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება;

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებში სხვადასხვა გასართობი, სანახაობრივი და შემეცნებითი ღონისძიებები.

ბ.გ) კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (კოდი 050203)

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის ობიექტების შენარჩუნება, ახალი ობიექტების მშენებლობა რათა შენარჩუნდეს და გაიზარდოს კულტურით დანტერესებული მოსახლეობის ხელმისაწვდომობის დონე.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დაფინანსება სოფელ იმირში „გადაჭრილი გორის“ ძეგლის გადახურვა სტანდარტების გათვალისწინებით და სხვა.

ბ.დ) რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა (050204)

ქვეპროგრამის მიზანი: რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლების სულიერების ამაღლება;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა, რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდის და მოსახლების სულიერების ამაღლების მიზნით. კერძოდ 400,0 ათ.ლარით დაფინანსდება „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია“, ხოლო 10,0 ათ.ლარი განსაზღვრულია რელიგიური დაწესებულებების კომუნალური გადასახადებისათვის.

გ) ახალგაზრდობის მხარდაჭერა (კოდი 0503)

პროგრამის მიზანი: ახალგაზრდობის განვითარების მხარდამჭერი და ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბებული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდობის მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არაფორმალური განათლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნასა და თანაბარ შესაძლებლობებს.

გამომდინარე საკითხის მნიშვნელობიდან, ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით მუშაობა უნდა მოიცავდეს შემდეგ პრიორიტეტულ საკითხებს:

ახალგაზრდობის სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობას, მათთვის ჯანსაღი გარემოს შექმნას, თანასწორი შესაძლებლობები მინიჭებას, მათი დასაქმების ხელშეწყობას და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას.

ღონისძიებები განხორციელდება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ფორმატში.

დ) ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (0504)

პროგრამის მიზანი: ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;

პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა) ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 0601)

პროგრამის მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

არსებულ ეტაპზე პროგრამით გათვალისწინებულია კოდი 060101 „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“ დაფინანსება.

ა.ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (კოდი 060101)

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის

მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.

ბ) სოციალური დაცვა (კოდი 0602)

პროგრამის მიზანი: მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის სამედიცინო და ყოფითი სახის დახმარების გაწევა.

ბ.ა) ავადმყოფთა სოციალური დაცვა (კოდი 060201)

ქვეპროგრამის მიზანი: სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო დახმარება თანადაფინანსების გზით;

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის სამედიცინო დახმარების გაწევა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის და საკრებულოს სხვადასხვა განკარგულებების საფუძველზე, კერძოდ:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ბენეფიციარს ან/და მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, მედიკამენტებით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით ან 100 ლარის ღირებულების მედიკამენტების შეძენის მიზნით დახმარება გაეწევა მოთხოვნილი თანხის 100%-ის ოდენობით. ასევე, მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ბენეფიციარს ან/და მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, მკურნალობის ან/და გამოკვლევის (გარდა 18 წლიდან ზემოთ ასაკის პირებისათვის ფიზიოთერაპიის და მასაჟისა) დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 200 ლარის ოდენობისა.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს, რომლის სოციალური სარეიტინგო ქულაა 0-დან 120 000-მდე, მედიკამენტების შეძენისა ან/და მკურნალობის დაფინანსების მიზნით კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 600 ლარის ოდენობით. ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, მედიკამენტების შეძენის მიზნით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით.
- მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ოპერაციის ან/ და რეაბილიტაციის ან/და გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და მედიკამენტების შეძენის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 800 ლარისა.
- გონებრივი განვითარების შეფერხების ან გონებრივი განვითარების დაყოვნების (ამ პუნქტში იგულისხმება: ICD – 10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორები F84; F78; R62) მქონე, 0-13 წლამდე პირს რეაბილიტაციის ან/და გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და მედიკამენტების შეძენის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 800 ლარისა.
- ონკოლოგიური დაავადების მქონე პირს, დაავადების საჭიროებიდან გამომდინარე, გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და ოპერაციის ან/და მედიკამენტების შეძენის მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.
- გულის ოპერაციის დაფინანსების მიზნით ბენეფიციარს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით.
- კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ 0-დან 120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ პირს, ოპერაციის დაფინანსების მიზნით, სახელმწიფოს მიერ სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში გაცემული დახმარების შემდეგ აუნაზღაურდება მხოლოდ 200 ლარი და მეტი ოდენობის დარჩენილი თანხის არსებობისას დასაფარავი თანხის 50%, არაუმეტეს 2000 ლარისა.
- სოციალური და ჯანდაცვის საკითხების განმხილველი საბჭო.

1. მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილი მოსახლეობის, რომელზეც განცხადების განხილვის ეტაპისათვის ვრცელდება წესის პირველი - მე-7 მუხლით დადგენილი შეზღუდვები (მაგ., ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული გასაცემი დახმარებები ან/და არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს), განცხადების განხილვის მიზნით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში, მერის გადაწყვეტილებით იქმნება სოციალური და ჯანდაცვის საკითხების განმხილველი საბჭო (შემდგომში „საბჭო“), რომლის არანაკლებ 7-წევრიან შემადგენლობას (მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არანაკლებ 3 წევრის, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირის ან სხვა საჯარო მოსამსახურის არანაკლებ 3 და სოციალური მომსახურების სააგენტოს არანაკლებ 1 წევრის მონაწილეობით) ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.
2. საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა განიხილოს განცხადება პირისათვის არაუმეტეს 2000.00 ლარის ოდენობით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის ან/და ჯანმრთელობის დაცვის (ოპერაცია, მკურნალობა, მედიკამენტები) მიმართულებით, არანაკლებ 200.00 ლარის და არაუმეტეს 2000.00 ლარის ოდენობის თანხის მოთხოვნის თაობაზე.

ბ.ბ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (კოდი 060202)

ქვეპროგრამის მიზანი: სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის სხვადასხვა ყოფითი სახის დახმარების გაწევა;

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის ყოფითი დახმარების გაწევა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის და საკრებულოს სხვადასხვა განკარგულებების საფუძველზე, კერძოდ:

- მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ერთჯერადი დახმარების მიზნით, რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად, პირადი სარგებლობისათვის გადაეცემა ეტილი ან/და სხვა ტექნიკური საშუალება, არაუმეტეს 800 ლარის ოდენობის ღირებულების.
- ასი და მეტი წლოვანების ხანდაზმულს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, დახმარება გაეწევა 200 ლარის ოდენობით.
- ომისა და სამხედრო ძალების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანს დახმარება გაეწევა კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, 200 ლარის ოდენობით.
- 0-დან 120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს დახმარება გაეწევა კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, 200 ლარის ოდენობით.
- ახალშობილის დაბადებასთან დაკავშირებით, მისი დაბადებიდან ორი კალენდარული თვის ვადაში განცხადების წარმოდგენისას, იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს დახმარება გაეწევა პირველ ბავშვზე 250 ლარის ოდენობით, ყოველი მომდევნო ბავშვის დაბადების შემთხვევაში დახმარება გაიცემა უკვე შეძენილ შვილებზეც და გასაცემი თანხის მოცულობა გაიზრდება თითოეულისათვის 200 ლარის ოდენობით (ბავშვების რაოდენობის პროპორციულად – პირველ ბავშვისათვის 250 ლარის და ყოველი მომდევნო შვილის დაბადებისას დაემატოს 200 ლარის ოდენობით). ასევე ტყუპების შეძენის შემთხვევაში, თითოეულისათვის შესაბამისი (მათი რაოდენობის მიხედვით) თანაბარი ოდენობის თანხა.
- 0-დან 100 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ არასრულწლოვანი შვილის მარტოხელა მშობელს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, გაეწევა დახმარება 200 ლარის ოდენობით.

- მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი რეგისტრირებული ქორწინების არარსებობის თაობაზე ან სხვა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს პირის, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მარტოხელა დედობის სტატუსს);
- 0-დან 120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ოჯახს, იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილ ოჯახს და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ოჯახს, რომელსაც ჰყავს 4 და მეტი რაოდენობის არასრულწლოვანი შვილი, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, დახმარება გაეწევათ 300 ლარის ოდენობით.
- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილ ოჯახებს და ომში დაღუპული მეომრების ოჯახს დახმარება გაეწევათ ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით, ხოლო დედ-მამით ობოლ არასრულწლოვან ბენეფიციარს 200 ლარის ოდენობით. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამის საბანკო ანგარიშზე.
- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, უსინათლო ან/და ყრუ-მუნჯ მოქალაქეს დახმარება გაეწევა 100 ლარის ოდენობით. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამის საბანკო ანგარიშზე.
- არასრულწლოვანი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან/და ასევე ონკოლოგიურად დაავადებულ ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ 200 ლარის ოდენობით.
- 0-დან 15 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ოჯახს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, დახმარება გაეწევა 200 ლარის ოდენობის თანხით.
- უსინათლო ან/და ყრუ-მუნჯ ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად, 40 ლარის ოდენობით.
- დიალიზზე მყოფ ბენეფიციარებს, ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების მიზნით, დახმარება გაეწევათ კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად – ქ.მარნეულის და ყიზილაჯლოს ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ბენეფიციარს 50 ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენ ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს 70 ლარის ოდენობით.
- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახებს (იგულისხმება: პირველ რიგში მეუღლე, ასეთის არარსებობისას სრულწლოვანი შვილი (არასრულწლოვანის შემთხვევაში მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს), შვილის არარსებობისას მშობელი), კალენდარული წლის განმავლობაში, ყოველთვიურად დახმარება გაეწევათ 100 ლარის ოდენობით, ხოლო კალენდარული წლის აგვისტოს თვეში (8 აგვისტოსთან დაკავშირებით) 500 ლარის ოდენობით. ასევე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, კალენდარული წლის მაისის თვეში, (9 მაისთან დაკავშირებით) ერთჯერადი საჩუქრის სახით დახმარება გაეწევათ 250 ლარის ოდენობის თანხით. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამის საბანკო ანგარიშზე.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში ან კანონიერ წარმომადგენელთან (მეურვე, მზრუნველი) რეინტეგრირებულ არასრულწლოვან ბენეფიციარს დახმარება გაეწევა კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად, 50 ლარის ოდენობით.
- 0-დან 120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ოჯახებს, სიდანაც ორი ან მეტი შვილი, ასევე, 0-დან 30 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს, საიდანაც ერთი სტუდენტი მაინც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, დახმარება გაეწევა თითოეულ სტუდენტისათვის 500 ლარის ოდენობის თანხით.
- 0-დან 120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ სოციალურად დაუცველ მარჩენალ დაკარგულ ბენეფიციარს, რომელიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა 500 ლარის ოდენობით.

- დედით და მამით ობოლ ბენეფიციარს, რომელიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა 500 ლარის ოდენობით.
- იძულებით გადაადგილებული პირთა – დევნილთა ოჯახებს, რომელთა შვილიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა 500 ლარის ოდენობით.
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შვილებს, რომლებიც სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა 500 ლარის ოდენობით.
- მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელიც სწავლობს საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლეს ან/და პროფესიულ პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა 500 ლარის ოდენობით.

ბ.გ) სარიტუალო მომსახურება (კოდი 060203)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება. კერძოდ ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვალების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მომართვისას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას 250 ლარის ოდენობის თანხით.

6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (კოდი 0100)

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს, მათ შორის: მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა. კერძოდ:

(კოდი 010101) ქვეპროგრამაში 15,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციონირების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების გასახორციელებლად.

(კოდი 010102) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებული არის გრანტის სახით 45.0 ათასი ლარით დაფინანსება.

(კოდი 010203) ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი თვის ბოლო თარიღისა (ხელშეკრულება №1, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლების: თამარისის, წერეთლის და საიმერლოს შიდა გზების რეაბილიტაცია) და "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში თანხის გადახდის დღისათვის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) გადასახდელი ძირი და დარიცხული საპროცენტო თანხა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.

თავი II

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით.

ორგ. კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წელი			2020 წელი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
	მარნეულის მუნიციპალიტეტი	21484.8	44147.2	32144.4	12002.7	28856.2	28606.2	250.0
	მომუშავეთა რიცხოვნება		240.0	240.0		254.0	254.0	0.0
	ხარჯები	15363.6	20248.8	18203.0	2045.8	19689.9	19443.5	246.4
	შრომის ანაზღაურება	3389.9	3765.5	3600.5	165.0	4117.8	3946.2	171.6
	საქონელი და მომსახურება	2957.3	3840.2	3244.4	595.8	3278.0	3271.4	6.6
	პროცენტი	102.1	53.2	53.2	0.0	40.3	40.3	0.0
	სუბსიდიები	7455.7	9330.6	9250.6	80.0	10090.7	10027.5	63.2
	გრანტები	45.0	45.0	45.0	0.0	45.0	45.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	1162.5	1314.2	1314.2	0.0	1654.0	1649.0	5.0
	სხვა ხარჯები	251.1	1895.1	695.1	1200.0	464.2	464.2	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5937.2	23707.2	13750.2	9957.0	9016.2	9012.6	3.6
	ვალდებულებები	184.0	0.0	0.0	0.0	150.1	150.1	0.0
0100	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5446.2	6858.3	6693.3	165.0	6397.2	6219.0	178.2
	მომუშავეთა რიცხოვნება	0.0	240.0	240.0	0.0	254.0	254.0	0.0
	ხარჯები	5026.8	6184.0	6019.0	165.0	6232.2	6054.0	178.2
	შრომის ანაზღაურება	3389.9	3765.5	3600.5	165.0	4117.8	3946.2	171.6
	საქონელი და მომსახურება	1381.6	1689.7	1689.7	0.0	1670.0	1663.4	6.6
	პროცენტი	102.1	53.2	53.2	0.0	40.3	40.3	0.0
	გრანტები	45.0	45.0	45.0	0.0	45.0	45.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	499.1	69.3	69.3	0.0	27.0	27.0	0.0
	სხვა ხარჯები	145.5	561.4	561.4	0.0	332.2	332.2	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	133.4	483.1	483.1	0.0	15.0	15.0	0.0
	ვალდებულებები	184.0	191.2	191.2	0.0	150.1	150.1	0.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის	5160.1	6222.7	6057.7	165.0	6053.9	5875.7	178.2

უზრუნველყოფა								
	მომუშავეთა რიცხოვნება	0.0	240.0	240.0	0.0	254.0	254.0	0.0
	ხარჯები	5026.7	5739.6	5574.6	165.0	6038.9	5860.7	178.2
	შრომის ანაზღაურება	3389.9	3765.5	3600.5	165.0	4117.8	3946.2	171.6
	საქონელი და მომსახურება	1381.6	1689.7	1689.7	0.0	1670.0	1663.4	6.6
	გრანტები	45.0	45.0	45.0	0.0	45.0	45.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	499.1	69.3	69.3	0.0	27.0	27.0	0.0
	სხვა ხარჯები	145.4	170.2	170.2	0.0	179.2	179.2	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	133.4	483.1	483.1	0.0	15.0	15.0	0.0
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1089.8	1228.4	1228.4	0.0	1320.5	1320.5	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნება		28.0	28.0	0.0	33.0	33.0	0.0
	ხარჯები	1087.4	1192.4	1192.4	0.0	1315.5	1315.5	0.0
	შრომის ანაზღაურება	635.6	676.3	676.3	0.0	758.9	758.9	0.0
	საქონელი და მომსახურება	312.4	349.9	349.9	0.0	397.4	397.4	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	434.8	10.0	10.0	0.0	5.0	5.0	0.0
	სხვა ხარჯები	138.9	156.2	156.2	0.0	154.2	154.2	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.4	36.0	36.0	0.0	5.0	5.0	0.0
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	3867.2	4733.0	4733.0	0.0	4508.6	4508.6	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნება		200.0	200.0	0.0	209.0	209.0	0.0
	ხარჯები	3736.2	4327.8	4327.8	0.0	4500.6	4500.6	0.0
	შრომის ანაზღაურება	2597.1	2924.3	2924.3	0.0	3187.3	3187.3	0.0
	საქონელი და მომსახურება	1030.9	1291.3	1291.3	0.0	1225.4	1225.4	0.0
	გრანტები	45.0	45.0	45.0	0.0	45.0	45.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	56.8	53.3	53.3	0.0	18.0	18.0	0.0
	სხვა ხარჯები	6.5	14.0	14.0	0.0	25.0	25.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	131.0	405.1	405.1	0.0	8.0	8.0	0.0
01 01 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	203.0	261.4	96.4	165.0	224.8	46.6	178.2
	მომუშავეთა რიცხოვნება		12.0	12.0		12.0	12.0	0.0
	ხარჯები	203.0	219.4	54.4	165.0	222.8	44.6	178.2
	შრომის ანაზღაურება	157.2	165.0	0.0	165.0	171.6	0.0	171.6
	საქონელი და მომსახურება	38.3	48.4	48.4	0.0	47.2	40.6	6.6
	სოციალური უზრუნველყოფა	7.5	6.0	6.0	0.0	4.0	4.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	42.0	42.0	0.0	2.0	2.0	0.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	286.2	635.6	635.6	0.0	343.3	343.3	0.0
	ხარჯები	0.1	444.4	444.4	0.0	193.3	193.3	0.0
	პროცენტი	102.1	53.2	53.2	0.0	40.3	40.3	0.0
	სხვა ხარჯები	0.1	391.2	391.2	0.0	153.0	153.0	0.0
	ვალდებულებები	184.0	191.2	191.2	0.0	150.1	150.1	0.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0.0	388.2	388.2	0.0	150.0	150.0	0.0
	ხარჯები	0.0	388.2	388.2	0.0	150.0	150.0	0.0
	სხვა ხარჯები	0.0	388.2	388.2	0.0	150.0	150.0	0.0

01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	0.1	3.0	3.0	0.0	3.0	3.0	0.0
	ხარჯები	0.1	3.0	3.0	0.0	3.0	3.0	0.0
	სხვა ხარჯები	0.1	3.0	3.0	0.0	3.0	3.0	0.0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	286.1	244.4	244.4	0.0	190.3	190.3	0.0
	ხარჯები	0.0	53.2	53.2	0.0	40.3	40.3	0.0
	პროცენტი	102.1	53.2	53.2	0.0	40.3	40.3	0.0
	ვალდებულებები	184.0	191.2	191.2	0.0	150.1	150.1	0.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8160.4	21596.7	13918.6	7678.1	10400.2	10400.2	0.0
	ხარჯები	2541.5	2574.1	2494.1	80.0	3516.7	3516.7	0.0
	საქონელი და მომსახურება	1327.0	1111.1	1111.1	0.0	1249.0	1249.0	0.0
	სუბსიდიები	1827.0	1930.0	1930.0	0.0	2267.7	2267.7	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5006.4	18442.9	10844.8	7598.1	6883.5	6883.5	0.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3366.9	8126.3	5448.2	2678.1	4250.0	4250.0	0.0
	ხარჯები	368.1	436.9	436.9	0.0	400.0	400.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	368.1	436.9	436.9	0.0	400.0	400.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2998.8	7689.3	5011.3	2678.1	3850.0	3850.0	0.0
02 01 01	გზების მოვლა შენახვა	368.1	436.9	436.9	0.0	400.0	400.0	0.0
	ხარჯები	368.1	436.9	436.9	0.0	400.0	400.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	368.1	436.9	436.9	0.0	400.0	400.0	0.0
02 01 02	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია	2998.8	7689.3	5011.3	2678.1	3850.0	3850.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2998.8	7689.3	5011.3	2678.1	3850.0	3850.0	0.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2821.0	8591.4	5316.2	3275.3	3425.1	3425.1	0.0
	ხარჯები	1232.9	1382.2	1382.2	0.0	1330.0	1330.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	18.8	32.2	32.2	0.0	30.0	30.0	0.0
	სუბსიდიები	1214.0	1350.0	1350.0	0.0	1300.0	1300.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1588.1	7209.2	3933.9	3275.3	2095.1	2095.1	0.0
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	1215.8	1355.0	1355.0	0.0	1305.0	1305.0	0.0
	ხარჯები	1215.8	1355.0	1355.0	0.0	1305.0	1305.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	1.7	5.0	5.0	0.0	5.0	5.0	0.0
	სუბსიდიები	1214.0	1350.0	1350.0	0.0	1300.0	1300.0	0.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	1281.4	4107.7	2666.6	1441.1	1707.5	1707.5	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1281.4	4107.7	2666.6	1441.1	1707.5	1707.5	0.0
02 02 03	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის განვითარება და მოვლა შენახვა	17.1	364.5	364.5	0.0	412.6	412.6	0.0
	ხარჯები	17.1	27.2	27.2	0.0	25.0	25.0	0.0

	არაფინანსური აქტივების ზრდა		337.3	337.3	0.0	387.6	387.6	0.0
02 02 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია	306.8	2764.2	930.0	1834.2	0.0000	0.0000	0.0000
02 03	გარე განათება	1070.7	1193.1	1193.1	0.0	1136.7	1136.7	0.0
	ხარჯები	934.6	630.0	630.0	0.0	1136.7	1136.7	0.0
	საქონელი და მომსახურება	934.6	630.0	630.0	0.0	769.0	769.0	0.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	934.6	630.0	630.0	0.0	367.7	367.7	0.0
	ხარჯები	934.6	630.0	630.0	0.0	367.7	367.7	0.0
	სუბსიდიები	0.0	0.0	0.0	0.0	367.7	367.7	0.0
02 03 02	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	769.0	769.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	769.0	769.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	769.0	769.0	0.0
02 03 03	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	136.1	563.1	563.1	0.0	0.0000	0.0000	0.0000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	136.1	563.1	563.1	0.0	0.0000	0.0000	0.0000
0204	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	613.0	580.0	580.0	0.0	1100.0	1100.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	600.0	600.0	0.0
	სუბსიდიები	613.0	580.0	580.0	0.0	600.0	600.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	500.0	500.0	0.0
0204 01	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება	613.0	580.0	580.0	0.0	600.0	600.0	0.0
	ხარჯები		0.0		0.0	600.0	600.0	0.0
	სუბსიდიები	613.0	580.0	580.0	0.0	600.0	600.0	0.0
0204 02	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება	0.0	0.0	0.0	0.0	500.0	500.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	500.0	500.0	0.0
02 07	კეთილმოწყობა	207.0	1755.0	1293.2	461.8	488.4	488.4	0.0
	ხარჯები	0.5	45.0	45.0	0.0	50.0	50.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	207.0	1710.3	1248.5	461.8	438.4	438.4	0.0
02 07 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	206.5	1377.7	916.0	461.8	438.4	438.4	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	206.5	1377.7	916.0	461.8	438.4	438.4	0.0
02 07 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	0.5	377.3	377.3	0.0	0.0000	0.0000	0.0000
	ხარჯები	0.5	45.0	45.0	0.0	0.0000	0.0000	0.0000
	სხვა ხარჯები	0.5	0.0	0.0	0.0	0.0000	0.0000	0.0000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.5	332.5	332.5		0.0000	0.0000	0.0000
02 07 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	0.0	0.0	0.0	0.0	50.0	50.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	50.0	50.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	50.0	50.0	0.0
02 08	სარიტუალო ღონისძიებები	76.3	34.9	34.9	0.0	0.0000	0.0000	0.0000

	არაფინანსური აქტივების ზრდა	76.3	34.9	34.9	0.0	0.0000	0.0000	0.0000
02 08 02	სარიტუალო დარბაზების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	76.3	34.9	34.9		0.0000	0.0000	0.0000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	76.3	34.9	34.9		0.0000	0.0000	0.0000
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	5.5	1316.0	53.0	1263.0	0.0000	0.0000	0.0000
	ხარჯები	5.5	80.0	0.0	80.0	0.0000	0.0000	0.0000
	საქონელი და მომსახურება	5.5	0.0			0.0000		
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	1236.0	53.0	1183.0	0.0000	0.0000	0.0000
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1370.3	2272.4	2272.4	0.0	2252.3	2252.3	0.0
	ხარჯები	1368.3	2102.4	2102.4	0.0	1749.3	1749.3	0.0
	საქონელი და მომსახურება	7.6	62.4	62.4	0.0	25.0	25.0	0.0
	სუბსიდიები	1360.7	2037.0	2037.0	0.0	1724.3	1724.3	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.0	173.0	173.0	0.0	503.0	503.0	0.0
0301	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	1370.3	2102.4	2102.4	0.0	1402.1	1402.1	0.0
	ხარჯები	1368.3	2102.4	2102.4	0.0	1399.1	1399.1	0.0
	საქონელი და მომსახურება	7.6	62.4	62.4	0.0	25.0	25.0	0.0
	სუბსიდიები	1360.7	2037.0	2037.0	0.0	1374.1	1374.1	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.0	3.0	3.0	0.0	3.0	3.0	0.0
0301 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1259.7	1900.0	1900.0	0.0	1282.1	1282.1	0.0
	ხარჯები	1257.7	1900.0	1900.0	0.0	1279.1	1279.1	0.0
	სუბსიდიები	1257.7	1897.0	1897.0	0.0	1279.1	1279.1	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.0	3.0	3.0	0.0	3.0	3.0	0.0
0301 02	ნარჩენების გადამუშავება	103.0	140.0	140.0	0.0	95.0	95.0	0.0
	სუბსიდიები	103.0	140.0	140.0	0.0	95.0	95.0	0.0
0301 03	გარემოს დაცვითი სხვა ღონისძიებები	7.6	62.4	62.4	0.0	25.0	25.0	0.0
	ხარჯები	7.6	62.4	62.4	0.0	25.0	25.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	7.6	62.4	62.4	0.0	25.0	25.0	0.0
0302	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0.0	0.0	0.0	0.0	350.2	350.2	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	350.2	350.2	0.0
	სუბსიდიები	0.0	0.0	0.0	0.0	350.2	350.2	0.0
0302	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	0.0	170.0	170.0	0.0	500.0	500.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	170.0	170.0	0.0	500.0	500.0	0.0
04 00	განათლება	2605.2	5622.0	3286.2	2335.8	3445.0	3445.0	0.0
	ხარჯები	2171.6	3283.9	2768.1	515.8	3062.0	3062.0	0.0
	სუბსიდიები	2066.2	2614.4	2614.4	0.0	2990.0	2990.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	433.6	2338.1	518.1	1820.0	383.0	383.0	0.0

04 01	სკოლამდელი განათლება	2531.9	3090.5	3090.5	0.0	3320.5	3320.5	0.0
	ხარჯები	2098.3	2696.1	2696.1	0.0	2990.0	2990.0	0.0
	სუბსიდიები	2066.2	2614.4	2614.4	0.0	2990.0	2990.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	433.6	394.4	394.4	0.0	330.5	330.5	0.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2072.3	2634.4	2634.4	0.0	3000.0	3000.0	0.0
	ხარჯები	2066.2	2614.4	2614.4	0.0	2990.0	2990.0	0.0
	სუბსიდიები	2066.2	2614.4	2614.4	0.0	2990.0	2990.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6.0	20.0	20.0	0.0	10.0	10.0	0.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	459.6	456.1	456.1	0.0	320.5	320.5	0.0
	ხარჯები	32.1	81.7	81.7	0.0	0.0000	0.0000	0.0000
	საქონელი და მომსახურება	32.1	81.7	81.7	0.0	0.0000	0.0000	0.0000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	427.6	374.4	374.4	0.0	320.5	320.5	0.0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	73.4	2531.5	195.7	2335.8	124.5	124.5	0.0
	ხარჯები	73.4	587.8	72.0	515.8	72.0	72.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	515.8	0.0	515.8	0.0000		
	სოციალური უზრუნველყოფა	71.4	72.0	72.0	0.0	72.0	72.0	0.0
	სხვა ხარჯები	2.0	0.0	0.0	0.0	0.0000		
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	1943.7	123.7	1820.0	52.5	52.5	0.0
04 03 01	პედაგოგთა დახმარება	73.4	72.0	72.0	0.0	72.0	72.0	0.0
	ხარჯები	73.4	72.0	72.0	0.0	72.0	72.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	71.4	72.0	72.0	0.0	72.0	0.0	72.0
	სხვა ხარჯები	2.0	0.0	0.0	0.0	0.0000		
04 03 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება	0.0	515.8	0.0	515.8	0.0000	0.0000	0.0000
	ხარჯები	0.0	515.8	0.0	515.8	0.0000	0.0000	0.0000
	საქონელი და მომსახურება	0.0	515.8	0.0	515.8	0.0000		
04 03 03	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები	0.0	1943.7	123.7	1820.0	52.5	52.5	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	1943.7	123.7	1820.0	52.5	52.5	0.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	2266.9	4171.6	4171.6	0.0	4519.3	4519.3	0.0
	ხარჯები	1908.0	2440.4	2440.4	0.0	3291.3	3291.3	0.0
	საქონელი და მომსახურება	209.0	299.6	299.6	0.0	334.0	334.0	0.0
	სუბსიდიები	1678.6	2099.9	2099.9	0.0	2870.3	2870.3	0.0
	სხვა ხარჯები	20.3	41.0	41.0	0.0	37.0	37.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	358.9	1731.2	1731.2	0.0	1228.0	1228.0	0.0
05 01	სპორტის ფეროს განვითარება	1342.8	2751.7	2751.7	0.0	1827.6	1827.6	0.0
	ხარჯები	1012.8	1248.5	1248.5	0.0	1385.0	1385.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	4.9	11.7	11.7	0.0	18.0	18.0	0.0
	სუბსიდიები	996.0	1210.8	1210.8	0.0	1360.0	1360.0	0.0
	სხვა ხარჯები	11.9	26.0	26.0	0.0	7.0	7.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	330.0	1503.2	1503.2	0.0	442.6	442.6	0.0

05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	997.8	1247.2	1247.2	0.0	1390.0	1390.0	0.0
	ხარჯები	996.0	1210.8	1210.8	0.0	1360.0	1360.0	0.0
	სუბსიდიები	996.0	1210.8	1210.8	0.0	1360.0	1360.0	0.0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	16.8	37.7	37.7	0.0	25.0	25.0	0.0
	ხარჯები	16.8	37.7	37.7	0.0	25.0	25.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	4.9	11.7	11.7	0.0	18.0	18.0	0.0
	სხვა ხარჯები	11.9	26.0	26.0	0.0	7.0	7.0	0.0
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	328.1	1466.8	1466.8	0.0	412.6	412.6	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	328.1	1466.8	1466.8	0.0	412.6	412.6	0.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	852.4	1333.8	1333.8	0.0	2430.7	2430.7	0.0
	ხარჯები	823.4	1105.9	1105.9	0.0	1645.3	1645.3	0.0
	საქონელი და მომსახურება	132.3	201.9	201.9	0.0	120.0	120.0	0.0
	სუბსიდიები	682.7	889.1	889.1	0.0	1510.3	1510.3	0.0
	სხვა ხარჯები	8.5	15.0	15.0	0.0	15.0	15.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	29.0	227.9	227.9	0.0	785.4	785.4	0.0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	709.1	903.9	903.9	0.0	1112.0	1112.0	0.0
	ხარჯები	682.7	886.4	886.4	0.0	1100.3	1100.3	0.0
	სუბსიდიები	682.7	886.4	886.4	0.0	1100.3	1100.3	0.0
05 02 02	კულტურის სფეროს ღონისძიებები	140.8	219.6	219.6	0.0	135.0	135.0	0.0
	ხარჯები	140.8	219.6	219.6	0.0	135.0	135.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	132.3	201.9	201.9	0.0	120.0	120.0	0.0
	სხვა ხარჯები	8.5	15.0	15.0	0.0	15.0	15.0	0.0
05 02 03	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2.6	210.4	210.4	0.0	773.7	773.7	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.6	210.4	210.4	0.0	773.7	773.7	0.0
05 02 04	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	372.2	408.0	408.0	0.0	410.0	410.0	0.0
	ხარჯები	372.2	408.0	408.0	0.0	410.0	410.0	0.0
	სუბსიდიები	365.0	407.3	407.3	0.0	410.0	410.0	0.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	0.0	0.0	0.0	0.0	175.0	175.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	175.0	175.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	110.0	110.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	50.0	50.0	0.0
	სხვა ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	15.0	15.0	0.0
05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	71.7	86.0	86.0	0.0	86.0	86.0	0.0
	ხარჯები	71.7	86.0	86.0	0.0	86.0	86.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	71.7	86.0	86.0	0.0	86.0	86.0	0.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1263.7	2666.9	1381.9	1285.0	1842.0	1770.2	71.8
	ხარჯები	1260.8	2666.9	1381.9	1285.0	1838.4	1770.2	68.2
	სუბსიდიები	158.1	242.0	162.0	80.0	238.4	175.2	63.2

	სოციალური უზრუნველყოფა	1029.7	1177.9	1172.9	5.0	1505.0	1500.0	5.0
	სხვა ხარჯები	73.0	1247.0	47.0	1200.0	95.0	95.0	0.0
06 01	ჯანდაცვა	161.0	242.0	162.0	80.0	242.0	175.2	66.8
	ხარჯები	158.1	242.0	162.0	80.0	238.4	175.2	63.2
	სუბსიდიები	158.1	242.0	162.0	80.0	238.4	175.2	63.2
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები	161.0	242.0	162.0	80.0	242.0	175.2	66.8
	ხარჯები	158.1	242.0	162.0	80.0	238.4	175.2	63.2
	სუბსიდიები	158.1	242.0	162.0	80.0	238.4	175.2	63.2
06 01 02	კაპიტალდაბანდები საზოგადოებრივ ჯანდაცვაში	0.0	538.9	0.0	538.9	0.0000	0.0000	0.0000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	538.9	0.0	538.9	0.0000	0.0000	0.0000
06 02	სოციალური დაცვა	1102.7	2424.9	1219.9	1205.0	1600.0	1595.0	5.0
	ხარჯები	1102.7	2424.9	1219.9	1205.0	1600.0	1595.0	5.0
	სოციალური უზრუნველყოფა	1029.7	1177.9	1172.9	5.0	1505.0	1500.0	5.0
	სხვა ხარჯები	73.0	1247.0	47.0	1200.0	95.0	95.0	0.0
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	743.1	913.3	913.3	0.0	1095.0	1095.0	0.0
	ხარჯები	743.1	913.3	913.3	0.0	1095.0	1095.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	743.1	913.3	913.3	0.0	1095.0	1095.0	0.0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	354.7	1506.7	306.7	1200.0	500.0	500.0	0.0
	ხარჯები	354.7	1506.7	306.7	1200.0	500.0	500.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	281.7	259.7	259.7	0.0	405.0	405.0	0.0
	სხვა ხარჯები	73.0	1247.0	47.0	1200.0	95.0	95.0	0.0
06 02 03	სარიტუალო მომსახურება	5.0	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0
	ხარჯები	5.0	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0
	სოციალური უზრუნველყოფა	5.0	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0

თავი III

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16 .

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 101-ე მუხლის საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებში 43.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.

მუხლი 17.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18 .

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19.

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 20 .

მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების და საშტატო ნუსხების დამტკიცება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21 .

საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის 6-ე პუნქტის შესაბამისად წლიური ბიუჯეტის დაზუსტება განხორციელდეს შემდეგი წესით:

1. ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის, წინა წლების დავალიანებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა, შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.

2. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება.

3. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს, (გარდა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის და წინა წლების დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა) და ასიგნების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

4. ერთი პრიორიტეტის პროგრამის ფარგლებში, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და ქვეპროგრამებს/ლონისძიებებს შორის ასიგნებების გადანაწილება (მათ შორის სარეზერვო ფონდის და წინა წლების დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების

ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა), შესაძლებელია განხორციელდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე;

5. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებები (მათ შორის: პროგრამული კოდის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ გადასახდელებში და შემოსულობებში. განხორციელებული ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, ცნობის სახით უნდა წარედგინოს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

6. ამ მუხლის 2-5 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტში ცვლილებებს ახორციელებს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, განწერით დამტკიცებული ასიგნებების დაზუსტების მიზნით ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (E-Budget). ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობას ადასტურებენ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი და ამავე სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსი. აღნიშნულ ცნობას ენიჭება თარიღი და ნომერი.

მუხლი 22.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურმა მოამზადოს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 23 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 150.0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 24 . სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 250,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 66.8 ათასი ლარის ოდენობით ;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 178.2 ათასი ლარის ოდენობით;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარის ოდენობით;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი

მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადასაწილება.

თავი IV. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 25. დადგენილების ამოქმედება

1. დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან;
2. დადგენილების ამოქმედებისთანავე გამოცხადდეს ძალადაკარგულად მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის №33 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge 31/12/2018, №190020020.35.159.016352).

შეთანხმებულია:

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი



ზაურ დარგალი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის

პირველი მოადგილე



ზაურ ტაბატაძე

იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების

მართვის განყოფილების უფროსი



ჯემალ დეკანოიძე

მომზადა:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი



ვუგარ მამედოვი